საგადასახადო დავალება
Payment Order

\# 0

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი“

თარიღი / Date: 19/02/2019

19/02/2019 12:36:08 PM

2489645876

გადამხდელი / sender

შპს ჯეო კონსტრაქშენი, 402028505

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE71TB7904336050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს ჯეო კონსტრაქშენი, 402028505*

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code 402028505

მიმღები / ReceIver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N:004076

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

რეფერენსი / Ref. Num.	2489645876
თანხა / Amount	15,000.00 GEL
თანხა სიტყვიერად Amount in words	თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი
გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee	10.5 GEL
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date	19/02/2019
ხელმოწერა Signature	შტამპის ადგილი

დარეგისტრირებულია

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

№004076 მითითების დანართი (ერთი ფურცელი)

დარღვევები:

შეცვლილია კოლონების რაოდენობა(დამატებულია: 3-3–დ-დ და 3-3–ე-ე ღერძების კვეთა, II სართული 1"-1" ღერძი) და ნაწილობრივ გაბარიტები (1-1 ღერძი, ბ-ბ–2-2 ღერძების კვეთა, ბ-ბ–3-3 ღერძების კვეთა, ა-ა–4-4 ღერძების კვეთა, ა'-ა'–4-4 ღერძების კვეთა). 2-2 ღერძზე ბ-გ მონაკვეთში დამატებულია მონოლითური კედლები. -I სართულიდან 3-3 და 4-4 ღერძებზე შემცირებულია მონოლითური კედლების სიმკვ. ნაწილობრივ შეცვლილია რიგულების გაბარიტები. დ'-ე' მონაკვეთში კიბის უკრედთან დამატებულია რიგულები.

-II სართული: ე-ე ღერძზე კედლის კონფიგურაციის შეცვლის გამო შეიცვალა სართულის ფართიც დ-ე და 2-3 მონაკვეთების კვეთაში გაზრდილია ლიფტისთვის განკუთვნილი მონოლითური უკრედის გაბარიტი. 2-2 ღერძზე დ-ე მონაკვეთში დამატებულია მონოლითური კედელი.

-I სართული: 1-1 ღერძზე ბ-გ მონაკვეთში დამატებულია მონოლითური კედელი. დ-ე მონაკვეთში 5-5 ღერძთან შეცვლილია პანდუსის გაბარიტები. 5-5 ღერძზე დ-ე მონაკვეთში გაუმჭვირვალია რიგელი. ხოლო კომერციისთვის განკუთვნილი ფართებში შენობის პერიმეტრზე რიგულების მოწყობა არ ემთხვევა საპროექტოში ასახულს.

I სართული: კონსოლების ფორმა და გაბარიტები არ ემთხვევა საპროექტოს.

II სართული: ბ"-ბ" და 1"-1" მონაკვეთების კვეთასთან კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი. 1"-1" ღერძზე დამატებულია 1 კოლონა.

მთავარი სპეციალისტი: _____ ი. ცინცაძე

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

_____

შეთანხმება

ვალდებულების შესრულების შესახებ

ჩვენ გიორგი გიგაური პ/ნ 01008013375 ზაზა მამულაშვილი პ/ნ 01008007028 და შ.პ.ს. "ჯეო კონსტრაქშენი" ს/კ 402028505 წარმომადგენელი მისი დირექტორის სახით პირადი ნ. 01007011102. ვთანხმდებით შემდეგზე, რომ ჩვენს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ხელშეკრულებაში რომელიც დადებულია 12/02/2016 შევიტანოთ ცვლილება 4.3 პუნქტში სადაც გიორგი გიგაურს და ზაზა მამულაშვილს გადაიხდის 2 ათასი ლარით. ამიერიდან თვეში მიიღებს ზაზა მამულაშვილი გადაიხდის ერთი ათასი ლარით ხოლო გიორგი გიგაურს 10.000 (ათიათასი) აშშ. დოლარი ანაზღაურების საფუძველზე ერთი გადაიხდის ათას-ლარით.

შპს "ჯეო კონსტრაქშენის" დირექტორი
[illegible] [illegible]

ზაზა მამულაშვილი

გ. გიგაური

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შემავალი №778
თარიღი "19" მარტი 2018 წ.
გვ. რაოდენობა 1 (ერთი) [illegible]

14/05/2018წ.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

მხარეები:

1. შპს „ჯეო კონსტრაქშენი" (402028505) - მყიდველი;
2. გიორგი გიგაური (01008013375) და ზაზა მამუკაშვილი (01008007028) - გამყიდვლები,

ვადასტურებთ:

1. რომ მყიდველის მიერ სრულად შესრულებულია 2016 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულებითა და 2018 წლის 19 მარტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები (882016077568) - მათ შორის მისაღები ფართების გადაცემის ვალდებულება; მყიდველს უფლება აქვს გამყიდვლების თანხმობის გარეშე გაასხვისოს და განკარგოს განშლაში მისთვის დასარეგისტრირებლად წარმოდგენილი უძრავი ქონება. გამყიდვლებს განშლაში მათთვის დასარეგისტრირებლად წარმოდგენილი ფართების გარდა, სხვა ფართებზე პრეტენზია არ გააჩნიათ;
2. მხარეები თანახმა არიან გაუქმდეს განაცხადი №882016077568-თ მიწაზე რეგისტრირებული ვალდებულებები და ფართების რეგისტრაცია მოხდეს წარმოდგენილი განშლის გეგმის მიხედვით.

შპს „ჯეო კონსტრაქშენი", დირექტორი ლევან ჯღენტი ლევან ჯღენტი

გიორგი გიგაური გიორგი გიგაური

ზაზა მამუკაშვილი ზაზა მამუკაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №430
თარიღი 14 - მაისი 2018 წ.
[illegible] 16/02 [illegible]

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.15.02.052.009**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019087258 - 07/02/2019 12:33:50

მომზადების თარიღი
07/02/2019 13:57:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	მთაწმინდა		
01	**15**	**02**	**052/009**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 48

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 485.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1 მშენებარე
საერთო ფართობით 2386.3 კვ.მ
მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 1386.0 კვ.მ
საზაფხულო ფართობი 315.0 კვ.მ
კომერციული ფართობი 145.0 კვ.მ
სარდაფის ფართობი 84.0
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 256.3 კვ.მ
ავტოსადგომის ფართობი 200.0 კვ.მ

მესაკუთრეები:
ზაზა მამუკაშვილი,P/N: 01008007028
მანანა გაგნიძე,P/N: 01026003493
ნანა კანდელაკი,P/N: 01030007508
რატი ქათამაძე,P/N: 01008043265
ქეთევან გიგაური ,P/N: 550109348
შპს ჯეო კონსტრაქშენი, ID ნომერი:402028505

01.15.02.052.009.01.01.500

შპს ჯეო კონსტრაქშენი — საკუთრება **სარდაფი**(მშენებარე) **სართული-2,** 84.00 კვ.მ.

- შპს "ჯეო კონსტრაქშენი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განშლა , გაფორმების თარიღი:10/05/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

01.15.02.052.009.01.01.003

მანანა გაგნიძე — საკუთრება **ფართი**(მშენებარე) **სადარბაზო1,სართული3,ბინა N3,** 143.00 კვ.მ.

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 30/05/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

01.15.02.052.009.01.01.004

1/2წილით რატი ქათამაძე 1/2წილით ქეთევან გიგაური	საკუთრება **ფართი**(მშენებარე)	**სადარბაზი1,სართული3,ბინა N4,**	159.00 კვ.მ.

- უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:23/05/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- შეთანხმება , გაფორმების თარიღი:18/01/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/10/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

01.15.02.052.009.01.01.002

81 კვ.მ. ფართი ზაზა მამუკაშვილი 78 კვ.მ. ფართი ნანა კანდელაკი	თანასაკუთრება **ფართი**	**სადარბაზი1,სართული2,ბინა N2,**	159.00 კვ.მ.

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:28/01/2019 ,სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- შპს "ჯეო კონსტრაქშენი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განშლა , დამოწმების თარიღი:10/05/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შპს ჯეო კონსტრაქშენი

იპოთეკა

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: **აღწერა:**

ვალდებულება

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: **აღწერა:**

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

მოცემული ამონაწერი არ ასახავს მონაცემებს დამოუკიდებელ უფლების ობიექტზე/ობიექტებზე რეგისტრირებული უფლებების (გარდა საკუთრების უფლებისა), ვალდებულებების და საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის შესახებ

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და
გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171213169**

გაცემის თარიღი: **01.05.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
მიმღები: ლევანი ჟღენტი
პირადი ნომერი: 01007011102
მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 77 კორ. 5 ბ. 8

თქვენი 2017 წლის 20 თებერვლის #19/0117051486-18 წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. N48 (საკ/კოდ 01.15.02.052.009) თქვენს კუთვნილ მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 2014 წლის 12 დეკემბრის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის 2017 წლის 17 თებერვლის #02-25/34-02 საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, სამსახური თანახმაა მოიჭრას 1 ძირი დაავადებული (განკურნებას არ ექვემდებარება დიამეტრი 72 სმ) ჩვ. თუთა და 1 ძირი დაავადებული თეთრი ცრუაკაცია (განკურნებას არ ექვემდებარება დიამეტრი 35 სმ), რომლის საერთო აღდგენითი ღირებულება შეადგენს 1576 (ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი ლარი) ლარს. გაცნობებთ, რომ მეპატრონე ვალდებულია გადაიხადოს ხე-მცენარის მოჭრის აღდგენითი ღირებულება საქართველოს კანონი ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის, მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის შესაბამისად და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა ხის მოჭრის შესაბამისი ნებართვა. ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების (2 ძირი ქლიავი) მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა დაგამწვანების საქალაქო სამსახური გაძლევთ დაპირებას, რომ თანახმაა ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გასცეს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის 2017

წლის 17 თებერვლის #02-25/34-02 დასკვნაში მითითებული 3 ძირი ხემყრალას (დიამეტრებით #4-25სმ, #6-31სმ #7-32სმ) მოჭრის ნებართვა გოგებაშვილის ქ. N48 (საკ/კოდ 01.15.02.052.009) სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში. დამატებით გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში დამიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ"საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ტელ: 595 30 40 34).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2726165

გაცემის თარიღი: 20/07/2016 გაცნობის თარიღი: 20/07/2016

განცხადების ნომერი: AR1412314

შემოსვლის თარიღი: 13/06/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.15.02.052.009
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 48
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 485.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს ჯეო კონსტრაქშენი (402028505)

ნომენკლატურა :

- **ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **III კლასი**
- **დემონტაჟი**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლევანი ჟღენტი პ/ნ 01007011102
- მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 77 კორ. 5 ბ. 8

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ჯეო კონსტრაქშენი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402028505
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამირან მამისაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 13001010235

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 485.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 214.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 902.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 532.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 369.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.08
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.15
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.93

– ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა
სარეგისტრაციო ნომერი N 882016077568, საკადასტრო კოდი N 01.15.02.052.009
– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 18.07.16წ. N27 ოქმი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), გოგებაშვილის ქ. N48-ში, შპს "ჯეო კონსტრაქშენი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს დემონტაჟის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 25 ივლისიდან 2016 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.
4. დაცულ იქნას მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების მდგრადობის და უსაფრთხოების
პირობები სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით.

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

(მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობის)

ქ.თბილისი. 12/02/2016

ერთის მხრივ, გიორგი გიგაურმა (პ/ნ 01008013375) და ზაზა მამუკაშვილმა (პ/ნ 01008007028), შემდგომში „გამყიდველები" და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ჯეო კონსტრაქშენი" (ს/კ 402028505) წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან მამისაშვილის (პ/ნ13001010235) სახით, შემდგომში „მყიდველი"

ვმოქმედებთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს გამყიდველების საკუთრებაში არსებულმიწის ნაკვეთს და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებს რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი. გოგებაშვილის ქ. # 48.

1.2. ნასყიდობის საგნის რეკვიზიტებია: 485 (ოთხას ოთხმოცდახუთი) მ2 არასასოფლო სამეურნო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული #1, #2, #3, #4, #5 შენობა - ნაგებობებით (საკადასატრო კოდი: 01.15.02.052.009)

1.3. ნასყიდობის საგანზე გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან #882016019377, მომზადების თარიღი 20/01/2016.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. მიწის ნაკვეთის ღირებულებაა 300 000 (სამასი ათასი) ლარი.რაც დასტურდება შესაბამისი დასკვნით.

2.2. მხარეები თანხმდებიან , რომ მყიდველი აღნიშნულ უძრავ ქონებას გამყიდველებისგან შეიძენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარად, ქვემოთ მითითებული ვალდებულებების გათვალისწინებით.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. გამყიდველები ვალდებულნი არიან:

3.1.1. გადასცენ მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება, რაც ნიშნავს, რომ ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, არ ადევს ყადაღა, არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით,არ აქვს დაფარული ნაკლი.

3.1.2. გადასცენ მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი,რაც ადასტურებს ნასყიდობის საგნის უფლებრივ და უნაკლო მდგომარეობას.

ნასყიდობის საგნის ხარისხი მხარეთა შორის შეთანხმებულია, მიწის ნაკვეთზე რაიმე ნაკლი გამყიდველთათვის ცნობილი არ არის.

3.2. მყიდველი ვალდებულია:

3.2.1. მიიღოს გამყიდველებისაგან ნასყიდობის საგანი და ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით.

3.2.2. ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი გადაიხადოს სრულად, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

3.2.3. გამყიდველების მიმართ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

4. მყიდველის განსაკუთრებული ვალდებულება

4.1. მყიდველი შ.პ.ს. „ჯეო კონსტრაქშენი“ აღნიშნული ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას, მასზე რომ, ნასყიდობის საგანზე- მიწის ნაკვეთზე ის ააშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელშიც 500 (ხუთასი) მ2 საცხოვრებელ ფართს უსასყიდლოდ და საკუთრებაში გადასცემს გამყიდველებს - გიორგი გიგაურსა და ზაზა მამუკაშვილს, თითოეულს 250 -250 მ2 ოდენობით.

4.2.მხარეები თანხმდებიან , რომ საცხოვრებელი ფართები, რომლებსაც მყიდველისგან მიიღებენ გამყიდველები იქნება ე.წ. თეთრი კარკასი, გაყვანილი კომუნიკაციებით.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველი შ.პ.ს. „ჯეო კონსტრაქშენი“ გამყიდველებს გიორგი გიგაურსა და ზაზა მამუკაშვილს აღნიშნული საცხოვრებელი სახლის ავტო სადგომზე ასევე უსასყიდლოდ და საკუთრებაში გადასცემს 2 (ორი) ავტომანქანის სადგომ ადგილს. თითოეულს ცალცალკე.

4.4. მყიდველი შ.პ.ს. „ჯეო კონსტრაქშენი“ იღებს ვალდებულებას , გამყიდველებს გიორგი გიგაურსა და ზაზა მამუკაშვილს ზემოთ მითითებული საცხოვრებელი ფართები და ავტომანქანის სადგომი ადგილები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საკუთრებაში გადასცეს მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

4.5. მყიდველი ვალდებულია , ხელშეკრულების არაუეროვანი შესრულებისთვის (იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების გამყიდველებისთვის გადაცემა) გამყიდველების სასარგებლოდ გადაიხადოს პირგასამტეხლო , გაყიდული ქონების ღირებულების (300 000 ლარი) 0,03 პროცენტი.

4.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე აეკრძალოს მყიდველს შეძენილი უძრავი ქონების გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება.

5.მხარეთა პასუხისმგებლობა.

5.1.მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაუეროვანი შესრულებისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა .

5.3. გამყიდველებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მყიდველისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე. გაცემული დოკუმენტების სისწორესა და სისრულეზე.

6. დავის მოწესრიგება

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ყველა..... უთანხმოება უნდა მოწესრიგდეს ურთიერთშეთანხმების გზით;

6.2.იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, დავას წყვეტს სასამართლო.

7.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ;

7.2.ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით,

7.3. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

8.1. გამყიდველი:

სახელი. გვარი: გიორგი გიგაური.

მისამართი: თბილისი. რაზმაძის ქ. # 38

ტელეფონი: 593 377 599

8.2 გამყიდველი:

სახელი, გვარი: ზაზა მამუკაშვილი

მისამართი:ქ. თბილისი. უჩანეიშვილის ქ. # 6.

ტელეფონი: 577 006 263

8.3. მყიდველი:

სახელი, გვარი: ამირან მამისაშვილი (შ.პ.ს. „ჯეო კონსტრაქშენი"-ის დირექტორი)

მისამართი: გურჯაანი. ს. არაშენდა.

ტელეფონი: 551 590 054

7.4. მხარეები ვალდებულები არიან რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ ერთმანეთს.

გამყიდველი : გიორგი გიგაური.

გამყიდველი: ზაზა მამუკაშვილი.

მყიდველი: ამირან მამისაშვილი.

100% [illegible] წილის მესაკუთრე [illegible] 01007011102

070

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო